SMG Services
გლობალური კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ძალაში შესვლის თარიღი: 2018 წლის მარტი

კონფიდენციალურობის ეს პოლიტიკა ვრცელდება SMG-ის მიერ ამ და სხვა ვებსაიტების, სერვისების და აპლიკაციების (მათ შორის, მობილური აპლიკაციების) მეშვეობით შეგროვებულ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომლებშიც ეს კონფიდენციალურობის პოლტიკა გამოქვეყნებულია, ბმულის სახით დართულია, ან მოხსენიებულია (კოლექტიურად მოიხსენება, როგორც „**SMG Services**“). „პერსონალური მონაცემები“წარმოადგენს ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. „SMG Services“-ს ფლობს და მართავს Service Management Group LLC, Service Management Group Limited, Service Management Group GK და მათი შესაბამისი შვილობილ კომპანიები (კოლექტიურად მოიხსენიება, როგორც „**SMG**,“ „ჩვენ“ ან „ჩვენს“). ეს კონფიდენციალურობის პოლტიკა ეხება ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების წესებს.

ყურადღებით გაეცანით კონფიდენციალურობის ამ განცხადებას. თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვება და დამუშავება მოხდება იმგვარად, როგორც აღწერილია ამ კონფიდენციალურობის პოლტიკაში.

იმ შემთხვევაში, თუ ეს ჯერარ შეგისრულებიათ, მიმოიხილეთ SMG-ის მომსახურების პირობები, რომელიც არეგულირებს თქვენ მიერ ჩვენი ვებსაიტების, აპლიკაციების, სერვისებისა და მობილური აპლიკაციების (კოლექტიურად „SMG Services“-ის მომსახურებები) გამოყენებას.

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით ამ კონფიდენციალურობის პოლტიკის ან მომსახურების პირობების რომელიმე ნაწილს მაინც, არ გამოიყენოთ „SMG Services“-ის არცერთი მომსახურება.

1. **ცვლილებები კონფიდენციალურობის პოლტიკაში**
2. **SMG-ის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების კატეგორიები**
3. **როგორ ვაგროვებთ ინფორმაციას და რა მიზნით ვამუშავებთ მას**
4. **დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები**
5. **პერსონალურ მონაცემთა გამოყენებისა და გაზიარების წესები**
6. **პერსონალურ მონაცემთა შენახვა და განკარგვა**
7. **თქვენი უფლებები და არჩევანი პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით**
8. **პერსონალურ მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის შედეგები**
9. **ქუქი-ფაილების პოლტიკა**
10. **თქვენი ანგარიშის ინფორმაციის მართვა**
11. **საბავშვო კონფიდენციალურობა**
12. **კავშირები მესამე მხარის სერვისებთან**
13. **ინფორმაციის უსაფრთხოება**
14. **გეოგრაფიული სპეციფიკა და პერსონალურ მონაცემთა საზღვრის მიღმა გადაგზავნა**
15. **ჩვენთან დაკავშირების ინსტრუქცია**

16. მონაცემთა კონტროლერი და მონაცემთა დაცვის ოფიცერი

1. ცვლილებები ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში

ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკას ჩვენ დროდადრო ვაახლებთ, როცა ვახორციელებთ ისეთ ცვლილებებს, რომლებიც კონფიდენციალურობის დებულებაზე მოქმედებს, მაგალითად, ახალი სერვისებისა და აპლიკაციების დამატება, ჩვენი სერვისების გაუმჯობესება, ისევე როგორც ტექნოლოგიებისა და კანონების ცვლილებაზე საპასუხო რეაგირება. ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკის ძალაში შესვლის თარიღი, რომელიც ამ ვებგვერდის თავშია მოცემული, ასახავს კონფიდენციალურობის პოლიტიკის ბოლო განახლების თარიღს. SMG შეგატყობინებთ, თუ ეს ცვლილებები ხელშესახებია და როცა ეს შესაბამისი კანონით სავალდებულოა, ჩვენ მოვითხოვთ თქვენს თანხმობას. ცვლილებების შესახებ ეს ცნობა მოგეწოდებათ ჩვენს ვებსაიტზე გამოქვეყნებით ან ჩვენი აპლიკაციების მეშვეობით.

2. SMG-ის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების კატეგორიები

SMG აწარმოებს ბაზრის კვლევებს იმ კომპანიების სახელით, რომლებსაც სურთ, უკეთესად გაიგონ მომხმარებელთა სურვილები მათ საქონელთან და სერვისებთან დაკავშირებით. ეს კომპანიები ჩვენი **„კლიენტები“** არიან. ჩვენი კლიენტების სასარგებლოდ ჩვენ ვატარებთ გამოკითხვებს (კოლექტიურად მოიხსენება, როგორც **„გამოკითხვები“**) და ამ ინფორმაციას მომხმარებელთა შესახებ ანალიზისთვის ვიყენებთ, მაგალითად, სად, როდის და რამდენად ხშირად სტუმრობენ მომხმარებლები საცალო გაყიდვების მდებარეობებს და რა სამომხმარებლო გამოცდილებები აქვთ ვიზიტისას. როდესაც თქვენ გამოკითხვაში მონაწილეობთ, ან იყენებთ „SMG Services“-ს, ჩვენ ვაგროვებთ თქვენ მიერ ნებაყოფლობით გაზიარებულ პერსონალურ მონაცემებს.

ჩვენ მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემები მოიცავს შემდეგს: (1) საკონტაქტო მონაცემები (როგორიცაა ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი და დამქირავებლის ვინაობა); (2) დემოგრაფიული მონაცემები (როგორიცაა სქესი, დაბადების თარიღი და საფოსტო ინდექსი/ZIP-კოდი); (3) თქვენი პასუხები გამოკითხვებში, იმგვარად, რომ ამ ინფორმაციით თქვენი იდენტიფიცირება შეიძლება, ან დაკავშირებულია თქვენთან, როგორც ინდივიდუალურად იდენტიფიცირებად პიროვნებასთან; და (4) ინფორმაცია, რომელიც თქვენ მიერ „SMG Services“-ის მოხმარებას უკავშირდება („მოხმარების მონაცემები“).

ჩვენ მიერ შეგროვებული მოხმარების მონაცემები მოიცავს შემდეგს: (1) IP მისამართი; (2) დომენის სერვერი; (3) სერვისებზე წვდომისთვის გამოყენებული მოწყობილობ(ებ)ის ტიპი; (4) სტატისტიკა და ინფორმაცია, რაც უკავშირდება თქვენს ბრაუზერსა და მოწყობილობას შორის კონტაქტს, როგორიცაა მოწყობილობის მოდელი, ოპერატორი/ქსელი, ბატარეის მუშაობის ინფორმაცია, რათა მოხდეს მდებარეობის ნიმუშების შეგროვების ოპტიმიზაცია ბატარეის დამუხტულობის გათვალისწინებით, ისევე როგორც თქვენი მოწყობილობის მოხმარების ძირითადი სტატისტიკა; (5) GPS-მონაცემები ან გეოლოკაციის სხვა მონაცემები რეალურ დროში,

როდესაც თქვენ ნებას გვრთავთ, მივიღოთ ინფორმაცია თქვენი მოწყობილობის მდებარეობის (ან მსგავსი) პარამეტრების მეშვეობით; (6) ვებსაიტის ან რამე სხვა წყაროს დამოწმება, რომლითაც სერვისებზე წვდომა იქონიეთ. როდესაც თქვენ მონაწილეობთ ონლაინ-გამოკითხვებში, ჩვენ ვაგროვებთ თქვენი მოწყობილობის რამდენიმე უნიკალურ მახასიათებელს, თაღლითობის ამოცნობის და აღკვეთის მიზნით.

3. როგორ ვაგროვებთ ინფორმაციას და რა მიზნით ვამუშავებთ მას

ჩვენ ვაგროვებთ და ვამუშავებთ თქვენ მიერ ჩვენთვის მოწოდებულ, ისევე როგორც თქვენ მიერ „SMG Services"-ის მოხმარების მეშვეობით მიღებულ ინფორმაციას. ჩვენ მიერ შეგროვებული ინფორმაცია და მისი დამუშავება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაქვთ წვდომა და როგორ იყენებთ „SMG Services"-ს.

თქვენგან. ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას, როდესაც თქვენ:

- **შეავსებთ გამოკითხვას:** ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას, რომელსაც გამოკითხვის პასუხების სახით წარადგენთ თქვენს სამომხმარებლო გამოცდილებებთან დაკავშირებით, ასევე იმის შესახებ ინფორმაციას, თუ რას ანიჭებთ უპირატესობას. ჩვენ შეიძლება მოვახდინოთ თქვენი გამოკითხვის პასუხებით მიღებული ინფორმაციის ჩვენი კლიენტებისგან მიღებულ ინფორმაციასთან კომბინირება. ასე მაგალითად, ინფორმაცია თქვენს მონაწილეობაზე კლიენტის „ერთგული მომხმარებლის" პროგრამაში, რათა უკეთესად გავიგოთ თქვენი სამომხმარებლო გამოცდილებები. ჩვენ ასევე შესაძლოა მოვახდინოთ თქვენი გამოკითხვის პასუხებით მიღებული ინფორმაციის კომბინირება სხვა მომხმარებლების გამოკითხვაში მონაწილეობის შედეგად მიღებულ პასუხების ინფორმაციასთან, რათა, მთლიანობაში, უკეთ გავიგოთ სამომხმარებლო გამოცდილებები. როცა თქვენ გამოკითხვას შეავსებთ, ინფორმაცია, რომლის გაზიარებასაც გადწყვეტთ, გამოყენებული იქნება ანგარიშებსა და სამომხმარებლო გამოცდილებების სხვა ანალიზებში, ასევე იმის დასადგენად, თუ რას ანიჭებენ მომხმარებლები უპირატესობას. ყოველივე ეს მომზადდება ჩვენი კლიენტებისთვის წარსადგენად ან რომელიმე სხვა მიზნისთვის, რის შესახებაც ინფორმაციის შეგროვებისას შეგატყობინებთ. თუ არ გსურთ, რომ მოხდეს თქვენი ინფორმაციის ანგარიშებში, ანალიზებსა თუ სხვაგვარად (რომლის შესახებაც შეგატყობინებთ) გამოყენება, თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ გამოკითხვის შევსებაზე.

- **„SMG Services"-ის გამოყენება.** ჩვენ ავტომატურად ვაგროვებთ მოხმარების მონაცემებს, როცა თქვენ ინტერაქციაში ხართ „SMG Services"-თან — ქუქი-ფაილების ან მონაცემთა შეგროვების სხვა ხელსაწყოების მეშვეობით. ამ მოხმარების მონაცემებს ჩვენ ვიყენებთ, რომ ხელი შევუწყოთ კომუნიკაციას თქვენს მოწყობილობასა და ჩვენს სისტემებს შორის, მოგაწოდოთ გამოკითხვები, მოვახდინოთ გამოკითხვების პირნათლად შევსების გარანტირება, ამოვიცნოთ და აღვკვეთოთ თაღლითობა, ჩავატაროთ ბაზრის კვლევები, უზრუნველყოთ ჩვენი ვებსაიტის და აპლიკაციების ადმინისტრირება, ისევე როგორც

მისი გაუმჯობესება და გავაანალიზოთ მოხმარება, რათა გავაუმჯობესოთ და დავხვეწოთ „SMG Services“-ი. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, თუ როგორ და რატომ ვიყენებთ ქუქი-ფაილებს და მონაცემთა შეგროვების მსგავს საშუალებებს, იხილეთ ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში, სექცია „ქუქი-ფაილების პოლიტიკა“.

- **თქვენი პერსონალური მონაცემების წარდგენა „SMG Services“-ის გამოყენებისას:** როდესაც თქვენ წარადგენთ საკუთარ პერსონალურ მონაცემებს „SMG Services“-ის გამოყენებისას, მაგალითად, დახმარების აღმოჩენის, ინფორმაციის მიღების ან ჩვენს ერთ-ერთ კლიენტთან თქვენი სამომხმარებლო გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩვენთან დაკავშირებისას, ჩვენ შევაგროვებთ და გავაანალიზებთ თქვენ მიერ წარდგენილ ინფორმაციას. როცა თქვენ სხვადასხვა სახის კომენტარს აწვდით SMG-ს, მოწოდებული ინფორმაციით თქვენ შეგაქვთ წვლილი იმ სერვისებში, რასაც ჩვენი კლიენტებისთვის უზრუნველყოფთ, ამასთანავე, მთლიანობაში, ხელს უწყობთ ბაზრის კვლევებს. თქვენი ნებართვით, თქვენი კომენტარები შესაძლოა გამოქვეყნდეს ვებსაიტზე TrumpetRatings.com და/ან ჩვენი კლიენტების სხვა ვებსაიტებზე. როდესაც ამგვარი ინფორმაცია საჯარო ფორუმზე განთავსდება, მაგალითად, ვებსაიტზე TrumpetRatings.com ან საჯაროდ ხელმისაწვდომ სხვა ვებსაიტებზე, ეს ინფორმაცია საჯარო ინფორმაცია ხდება. შესაბამისად, თქვენ მიერ დაწერილ კომენტარი შესაძლოა იხილონ და/ან მოიპოვონ მესამე მხარეებმა და გამოიყენონ სხვა პირებმა იმგვარად, რომ მათი გაკონტროლება ან შეკავება ჩვენთვის შეუძლებელია.

- **„SMG Services“-ზე წვდომა სოციალურ მედიათა ავტორიზაციის მონაცემებით:** SMG-მ შესაძლოა შემოგთავაზოთ სოციალური ქსელების სერვისების გამოყენების შესაძლებლობა (კოლექტიურად მოიხსენება როგორც „**სოციალური მედია**“), რათა წვდომა იქონიოთ „SMG Services“-ის გარკვეულ მომსახურებებზე. „SMG Services“-ზე წვდომისთვის, თქვენ მიერ სოციალური მედიის რომელიმე საშუალების ავტორიზაციის მონაცემებით შესვლის არჩევანის გაკეთებისას, SMG-მ, შესაძლოა, თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრების გათვალისწინებით, მოიპოვოს წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც თქვენ ამ სოციალურ მედიის პლატფორმას გაუზიარეთ, როგორიცაა თქვენი სახელი, ელფოსტის მისამართი, პროფილის ფოტო, პოსტები, კომენტარები და მოცემული სოციალური მედიის თქვენს ანგარიშთან დაკავშირებული სხვა სახის ინფორმაცია. ეს ინფორმაცია შესაძლოა გამოვიყენოთ ნებისმიერი მიზნისთვის, რომელიც მოხსენიებულია კონფიდენციალურობის პოლიტიკაში, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მიზნისთვის, რომლის შესახებაც წინასწარ გაცნობეთ ინფორმაციის შეგროვებისას. თუ თქვენ არ გსურთ, რომ თქვენი სოციალური მედიის ინფორმაცია სოციალური მედიის პროვაიდერმა SMG-ს გაუზიაროს, თქვენ არ უნდა გამოიყენოთ თქვენი სოციალური მედიის ანგარიშები SMG-ს სერვისებზე წვდომის მიზნით.

ჩვენი კლიენტებისგან. ზოგიერთი პროდუქტისა თუ სერვისისთვის, ჩვენმა კლიენტებმა შეიძლება გამოგვიგზავნონ ინფორმაცია მათ ბრენდებთან, პროდუქტებთან ან სერვისებთან თქვენს

ინტერაქციასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას ნებისმიერი „ერთგული მომხმარებლის“ პროგრამის შესახებ, რომელშიც მონაწილეობთ, ისევე როგორც ჩვენს კლიენტებთან თქვენი გადარიცხვების შესახებ ინფორმაცია. ჩვენ შესაძლოა მოვახდინოთ ამ ინფორმაციის კომბინირება სხვა სახის ინფორმაციასთან, რომელსაც მოვიპოვებთ, რათა დავხვეწოთ ჩვენ მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევები და გავაუმჯობესოთ ჩვენი კლიენტებისთვის უზრუნველყოფილი სერვისები.

4. დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები

4.1. ჩვენ ვამუშავებთ თქვენს საკონტაქტო მონაცემებს, დემოგრაფიულ მონაცემებს და გამოკითხვაში გაცემულ პასუხებს, როცა გამოკითხვას შეავსებთ ან „SMG Services“-ს იყენებთ. ჩვენ ვამუშავებთ ამ გვარ პერსონალურ მონაცემებს ჩვენი კლიენტების ლეგიტიმურ ინტერესებზე დაყრდნობით — მათი მომხმარებლებისგან გამოხმაურების მოპოვება და მათი პროდუქტებისა და სერვისების გაუმჯობესებაში დახმარება. ეს ხდება როგორც მათი მომხმარებლების, ისევე მათი ბიზნესების სასარგებლოდ და ეფუძნება SMG-ის ლეგიტიმურ ინტერესს, გააუმჯობესოს SMG-ის პროდუქტები, სერვისები და ბაზრის კვლევები, ისევე როგორც მომხმარებელთა დახმარების ან მათი მხრიდან ინფორმაციის მოთხოვნებისადმი რეაგირება.

4.2. ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მოხმარების მონაცემებს, როცა თქვენ გამოკითხვას შეავსებთ ან „SMG Services“-ს იყენებთ. ჩვენ ვამუშავებთ ამ მონაცემებს თქვენი არჩევანის საფუძველზე, რომ გადახვიდეთ გამოკითხვაზე და დადასტუროთ თქვენი თანხმობა SMG-ის მიერ ქუქი-ფაილებისა და მონაცემთა შეგროვების სხვა ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ. თქვენ შეგიძლათ თქვენი ნებართვის ანულირება მონაცემთა დაცვის ოფიცერთან დაკავშირებით, შემდეგი ელფოსტის გამოყენებით:privacyofficer@smg.com, ან მონაცემთა დაცვის ოფიცრისთვის და Service Management Group LLC-ისთვის (მის.: 1737 McGee Street, Kansas City, MO 64108) მიწერით.

4.3. ჩვენ აგრეთვე შეიძლება დავამუშაოთ ინფორმაცია, რომელიც თქვენ სოციალურ მედია პლატფორმებს მიაწოდეთ, თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრების გათვალისწინებით, მაშინ, როდესაც თქვენ სოციალური ქსელის სერვისებს SMG-ის სერვისებთან ერთად გამოიყენებთ. ჩვენ ასეთ ინფორმაციას თქვენი თანხმობის საფუძველზე ვამუშავებთ, რომელსაც აწოდებთ სოციალური ქსელის სერვისს თქვენს კონფიდენციალურობის პარამეტრებში. თქვენ შეგიძლათ საკუთარი თანხმობის გაუქმება თქვენი კონფიდენციალურობის პარამეტრების შეცვლით, რათა აღკვეთოთ ჩვენი წვდომა თქვენს სოციალური მედიის მონაცემებზე.

4.4. ჩვენ ვამუშავებთ ჩვენი კლიენტებისგან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება თქვენს ურთიერთობას მათ ბრენდებთან, პროდუქტებთან ან სერვისებთან. ჩვენ ვამუშავებთ ასეთ ინფორმაციას SMG-ის და SMG-ის კლიენტების ლეგიტიმური ინტერესების საფუძველზე, მათშორის SMG-ის და ჩვენი კლიენტების პროდუქტებისა და სერვისების

გაუმჯობესების მიზნით, ისევე როგორც SMG-ის ბაზრის კვლევების ხარისხის ასამაღლებლად.

5. პერსონალურ მონაცემთა გამოყენებისა და გაზიარების წესები

ის, თუ როგორ ვიყენებთ და ვაზიარებთ ჩვენ მიერ შეგროვებულ ან თქვენ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იყენებთ ან გაქვთ წვდომა „SMG Services"-ზე. როდესაც ეს კანონით სავალდებულოა, SMG დაემორჩილება თქვენს მოთხოვნას, რომ შევწყვიტოთ თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარება მესამე მხარეებისთვის.

- **თქვენთან კომუნიკაცია.** თქვენი პერსონალური მონაცემები, საჭიროებისამებრ, გამოყენებული იქნება თქვენთან ურთიერთობისა და კომუნიკაციისთვის — ფოსტით, ტელეფონით, ელფოსტით, მობილური გაფრთხილებებით და SMS-შეტყობინებების მეშვეობით. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოკითხვის რესპოდენტი დაჟინებით მოითხოვს კომუნიკაციას, SMG არ უკავშირდება გამოკითხვაში მონაწილეს, გარდა იმ შემთხვევისა, რაც საჭიროა გამოკითხვის მართებულობის და დასტურების, გამოკითხვების მიწოდების, ჯილდოების, სარგებლის (რომლებიც გამოკითხვაში მონაწილეობით მოიპოვება) ან კლიენტთა სერვისების უზრუნველყოფისთვის. მიუხედავად იმისა, რომ SMG თქვენს პერსონალურ მონაცემებს არ იყენებს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, თქვენ მაინც უნდა გაეცნოთ კლიენტის კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რომლისთვისაც ჩვენ ვაგროვებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რათა გაარკვიოთ, მოცემული კლიენტიც აგროვებს თქვენს მონაცემებს თუ არა. ჩვენ შეიძლება გავუზიაროთ თქვენი პერსონალური მონაცემები სერვისების პროვაიდერებს, რომლებიც გვეხმარებიან თქვენთან საქმიანი ურთიერთობის წარმართვაში.

- **თქვენ მიერ მოთხოვნილი სერვისების შესრულება.** ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ და გავაზიაროთ თქვენი პერსონალური მონაცემები, რათა შევასრულოთ თქვენ მიერ მოთხოვნილი სერვისები ან თქვენ მიერ წამოწყებული ფუნქციები, მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როცა თქვენ გამოაქვეყნებთ ინფორმაციას თუ გარკვეულმასალას შეტყობინებების დაფაზე, ფორუმებზე ან ჩვენს სოციალური მედიის გვერდებზე. დამატებით, როდესაც შესაბამის ნებართვას მოგვანიჭებთ, ჩვენ შესაძლოა გავამჟღავნოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, რათა მოვახდინოთ თქვენი იდენტიფიცირება ნებისმიერისთვის, ვისაც „SMG Services"-ის გამოყენებით უკავშირდებით. აგრეთვე, ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ და გავუზიაროთ თქვენი პერსონალური მონაცემები მესამე მხარეებს, რათა გადმოგცეთ ჯილდოები და უზრუნველვყოთ სარგებელი, რაც თქვენ მოითხოვეთ და მოიპოვეთ გამოკითხვების შევსებით. თუ თქვენ აირჩევთ მონაწილეობას ლოტოში ან რომელიმე სხვა პრომო-აქციაში, ჩვენ თქვენს ინფორმაციას გავუგზავნით ამ პრომო-აქციების მესამე მხარის ადმინისტრატორებს, რათა მათ შეძლონ თქვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემა ან დაგიკავშირდნენ თქვენ

მიერ მოგებული პრიზის, ან პრომო-აქციასთან დაკავშირებული სხვა საკითხის შესახებ.

- **„SMG Services"-ის მოხმარების გაანალიზება და მათი გაუმჯობესება.** ჩვენ ვიყენებთ ქუქი-ფაილებისა და მონაცემთა შეგროვების სხვა ხელსაწყოების მეშვეობით მოპოვებულ პერსონალურ მონაცემებს, მოხმარების ანალიზის, თაღლითობის ამოცნობის და „SMG Services"-ის მუშაობის გაუმჯობესებისთვის. ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ მესამე მხარის ვებსაიტების ანალიტიკური სერვისები რათა გავაანალიზოთ, თუ როგორ მოიხმარენ ინდივიდები „SMG Services"-ს. ეს შეიძლება მოიცავდეს: მაუსის დაწკაპუნებების და მაუსის მოძრაობების ჩაწერას, გადადგილების აქტივობას და ტექსტებს, რომლებსაც აკრეფთ ტექსტის შესაყვანველებში. ამ მესამე მხარის სერვისებისგან მოპოვებულ ინფორმაციას იმის უკეთ გასაგებად ვიყენებთ, თუ როგორ პოულობენ და იყენებენ ჩვენი მომხმარებლები „SMG Services"-ს, ისევე როგორც ჩვენი სერვისებისა და თქვენი სამომხმარებლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

- **მონაცემთა გაზიარება სხვა სერვისპროვაიდერებთან.** ჩვენ შეიძლება გავუზიაროთ თქვენი ინფორმაცია, თქვენი პერსონალური მონაცემების ჩათვლით, სხვა სერვის პროვაიდერებს, რომელთა მომსახურებასაც ვიყენებთ გარკვეული ფუნქციების შესასრულებლად, როგორიცაა ჰოსტინგი, მონაცემთა შენახვა და უსაფრთხოება. ჩვენ შეიძლება, საჭიროებისამებრ, აგრეთვე გავაზიაროთ თქვენი პერსონალური მონაცემები სხვა, დაკავშირებული SMG-ის მომსახურებების ოპერირებისთვის, მაგალითად შეფასებებისა და მიმოხილვების ვებსაიტების ასამუშავებლად.

- **მონაცემების კლიენტებთან გაზიარება.** თუ თქვენ „SMG Services"-ზე წვდომა გექნებათ, რათა მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში, რომელიც ეხება სამომხმარებლო გამოცდილებას ჩვენს ერთ-ერთ კლიენტთან, მოცემულ კლიენტს ჩვენ გავუზიარებთ თქვენგან გამოკითხვაში მონაწილეობით მოპოვებულ პერსონალურ მონაცემებს, თქვენი პასუხების შესახებ და მათთან დაკავშირებით. ეს პერსონალური მონაცემები ჩვენ ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ბაზრის კვლევების დასკვნების გასაკეთებლად და ჩვენი კლიენტებისთვის მომხმარებელთა ქცევის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების, ანალიზისა და ბიზნეს-დაზვერვის უზრუნველსაყოფად. იმასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად, თუ როგორ იყენებს, იცავს და ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს კლიენტი, რომლისთვისაც თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვაგროვებთ, წაიკითხეთ კლიენტის კონფიდენციალურობის პოლიტიკა. ჩვენ და ჩვენმა კლიენტებმა ასევე შეიძლება მოვახდინოთ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის, მათ შორის, თქვენგან ან თქვენ შესახებ მოპოვებული, ჩვენი კლიენტის ან მესამე მხარის წყაროებიდან შეგროვებული პერსონალური მონაცემების კომბინირება. SMG-ს შეუძლია გამოიყენოს კომბინირებული ინფორმაცია ნებისმიერი მიზნისთვის, რომელიც ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაშია აღწერილი. ჩვენს კლიენტებს ასევე აქვთ უფლება გამოიყენონ კომბინირებული ინფორმაცია ნებისმიერი

მიზნისთვის, რომელიც მათ კონფიდენციალურობის პოლიტიკაშია აღწერილი.

- **სამართლებრივი ვალდებულებებისადმი დამორჩილება და სამართლებრივი უფლებების აღსრულება.** ჩვენ გვაქვს უფლება, საჭიროებისამებრ, გავაზიაროთ თქვენგან მოპოვებული ინფორმაცია, აღვასრულოთ ჩვენი უფლებები, დავიცვათ ჩვენი საკუთრება ან უფლებები, სხვების საკუთრება ან უსაფრთხოება, ან, საჭიროებისამებრ, უზრუნველვყოთ გარე აუდიტი, მოთხოვნებთან შესაბამისობა და კორპორაციული მართვის ფუნქციები. ჩვენ გავამჟღავნებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს კეთილგონიერების საფუძველზე, რათა ვუპასუხოთ სასამართლოში გამოძახების უწყებას, სავალდებულო ბრძანებას მონაცემთა დაცვის უფლებამოსილი ორგანოს ან მოსამართლის მიერ, სამართლებრივ პროცესს, სამთავრობო მოთხოვნას ან სხვა ნებისმიერი სახის სამართლებრივ ან პროცესუალურ ვალდებულებას. ცალკე აღებულ შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს თქვენი ბინადრობის ქვეყნის გარეთ მდებარე ორგანო. ჩვენ ასევე შეიძლება გავაზიაროთ პერსონალური მონაცემები საჭიროების მიხედვით, ხელმისაწვდომი სამართლებრივი ანაზღაურებისკენ მოპოვების ან ჩვენდამი პოტენციურად მოყენებული ზარალის მასშტაბის შესაზღუდავად.

- **მონაცემთა გადაცემა კორპორაციულ ცვლილებებთან დაკავშირებით.** ჩვენ გვაქვს უფლება, გადავიტანოთ ინფორმაცია თქვენს შესახებ, მათ შორის, პერსონალური მონაცემები, ნებისმიერ მიმდინარე ან სამომავლო რეორგანიზაციასთან, შერწყმასთან, გაყიდვასთან, ერთობლივ საწარმოსთან, დავალებასთან, გადატანასთან, შეძენასთან, ან მფლობელობის ან კონტროლის სხვაგვარ შეცვლასთან (SMG-ის მიმართ ან მის მიერ, ისევე როგორც ნებისმიერი შვილობილი კომპანიის მხრივ) დაკავშირებით. ეს ვრცელდება, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერ გაკოტრების ან მსგავს პროცესზე. ნებისმიერი სამეწარმეო პირი, რომელსაც პერსონალურ მონაცემებს გადავცემთ, ვალდებული იქნება, რომ თქვენთვის უზრუნველყოს შესაბამისი ცნობა, რომელშიც განმარტებული იქნება მონაცემთა დამუშავების ნებისმიერი ინსტანცია, რომელიც არაა შეთავსებადი ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან, ასევე კონფიდენციალურობის ნებისმიერი პრაქტიკის შესახებ, რაც მატერიალურად განსხვავდება ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მოყვანილი პრაქტიკისგან. როდესაც ეს კანონით მოითხოვება, ეს სამეწარმეო პირი ვალდებული იქნება, რომ თქვენი ნებართვა მოიპოვოს.

- **პერსონალური მონაცემების გამოყენება სხვა ბიზნეს-მიზნებისთვის.** ჩვენ ასევე გამოვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს სხვა, ლეგიტიმური ბიზნეს-მიზნებისთვის, როგორიცაა პროდუქტებისა და სერვისების განვითარება და „SMG Services"-ის ადმინისტრირება.

6. პერსონალურ მონაცემთა შენახვა და განკარგვა

ჩვენ შევინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენს დოკუმენტებში მხოლოდ იმ დროით, რამდენიც საჭიროა მისი

თავდაპირველად მოპოვების მიზნისთვის და არა მეტი ხნით. როდესაც მსგავსი ინფორმაცია აღარ არის საჭირო იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ის თავდაპირველად იყო მოპოვეული, ჩვენ უსაფრთხოდ წავშლით თქვენს ყველა ელექტრონულ პერსონალურ მონაცემს და უსაფრთხოდ გავანადგურებთ პერსონალური მონაცემების ნებისმიერ ამონაბეჭდს, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებიც საჭიროა ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად.

7. თქვენი უფლებები და არჩევანი პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით

თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ გამოკითხვებში მონაწილეობა ნებისმიერ დროს, „SMG Services"-ზე წვდომის შეწყვეტით.

თუ ცხოვრობთ ევროკავშირის ქვეყანაში, სადაც კანონები ან რეგულაციები უფლებებს განიჭებთ, რომ მოითხოვოთ კონკრეტული ქმედებები თქვენს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, თქვენ მინიჭებული გექნებათ კონკრეტული უფლებები ასეთი კანონ(ებ)ის ან რეგულაცი(ებ)ის მიერ. ეს შეიძლება გულისხმობდეს შემდეგ უფლებებს: პერსონალურ მონაცემებზე წვდომის მოთხოვნა და შესწორება (*ე.ი.* ჩასწორება ან ინფორმაციის დამატება), ან მისი წაშლა, თქვენი მონაცემების გადატანა (*ე.წ.* მონაცემთა პორტაბელურობა), თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, ისევე როგორც თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების გასაჩივრება, თქვენი ნებართვის ანულირება და თქვენი ანგარიშის გაუქმება, ასევე საჩივრის წარდგენის უფლება შესაბამის ზედამხედველობითუწყებაში. ნებისმიერი ასეთი მოთხოვნა დამუშავდება შესაბამის კანონებსა და რეგულაციებში მოყვანილი წესების მიხედვით.

თუ თქვენ ევროკავშირში ცხოვრობთ, ზოგადი მონაცემების დაცვის რეგულაციის მიხედვით თქვენ გაქვთ უფლებები, რომ SMG-ისგან მოითხოვოთ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა და მათი შესწორება ან წაშლა, მონაცემთა პორტაბელურობა, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების გასაჩივრების უფლება, თქვენი ნებართვის ანულირების, ასევე საჩივრის წარდგენის უფლება შესაბამის ზედამხედველობითუწყებაში. თუ თქვენ ევროკავშირში არ ცხოვრობთ, თქვენ ასევე შეიძლება გენიჭებოდეთ მონაცემებთან დაკავშირებული გარკვეული უფლებები, თქვენი ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

ასეთი სახის მოთხოვნისთვის დუკავშირდითჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს შემდეგი ელფოსტის გამოყენებით:privacyofficer@smg.com, ან შეგიძლიათ მიწეროთ მონაცემთა დაცვის ოფიცერსა და Service Management Group LLC-ს (მის.:1737 McGee Street, Kansas City, MO 64108).

8. პერსონალურ მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს გამოკითხვებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, თქვენ შეიძლება ვერ დაკმაყოფილოთ გარკვეული წახალისებების, ჯილდოების ან სარგებლის მოთხოვნები, თუ თქვენ

სრულ და არ მოგვაწოდებთ ინფორმაციას, რაც გამოკითხვაში მოითხოვება.

9. ქუქი-ფაილების პოლიტიკა

9.1. რა არის ქუქი-ფაილები

SMG, ისევე როგორც ჩვენი სერვისის პროვაიდერები, იყენებს მცირე ტექსტურ ფაილებს, რომლებსაც ქუქი-ფაილები ჰქვია. **„ქუქი-ფაილები“** არის მცირე ზომის კომპიუტერული ფაილები, რომლებიც იგზავნება, ან რომლებზეც წვდომა ხდება თქვენი ვებ-ბრაუზერიდან, ან თქვენი კომპიუტერის, მობილური მოწყობილობის ან ტაბლეტის მყარი დისკიდან. ეს ფაილები შეიცავს ინფორმაციას თქვენი კომპიუტერის შესახებ, მაგალითად, მომხმარებლის იდენტიფიკაციის, მომხმარებლის პარამეტრების, დათვალიერების ისტორიის და ჩვენი სერვისების გამოყენებისას განხორციელებულ აქტივობების შესახებ. ქუქი-ფაილი, როგორც წესი, შეიცავს დომენის სახელს (ინტერნეტ-მდებარეობა), რომლიდანაც ქუქი-ფაილი წარმოსდგება, ქუქი-ფაილის „სიცოცხლის ხანგრძლივობას“ (ე.ი. როდის იწურება ის) და შემთხვევითობის პრინციპით გენერირებულ უნიკალურ ნომერს ან იდენტიფიკატორს. ქუქი-ფაილები შეიძლება უკავშირდებოდეს პერსონალურ მონაცემებს.

9.2. ქუქი-ფაილების და მონაცემთა შეგროვების ხელსაწყოების გამოყენების წესი

ქუქი-ფაილები გვეხმარება „SMG Services“-ის გაუმჯობესებაში, ისევე როგორც ინტერნეტ-სივრცეში თქვენ მიერ წარმოებული მოძრაობების, ჩვევების აღნუსხვითა და „SMG Services“-ის გამოყენებისას თქვენი სამომხმარებლო გამოცდილების თქვენზე მორგების მხრივ. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ გავაანალიზოთ ტექნიკური და ნავიგაციური ინფორმაცია „SMG Services“-ის შესახებ და გვეხმარება თაღლითობის შემთხვევების ამოცნობასა და აღკვეთაში.

ჩვენ ასევე ვიყენებთ ქუქი-ჩანაწერებს და მონაცემთა შეგროვების სხვა ხელსაწყოებს (მაგალითად, ვებ-სიგნალები და სერვერთა ჩანაწერები), რომლებსაც კოლექტიურად ვიხსენიებთ, როგორც **„მონაცემთა შეგროვების ხელსაწყოებს“**, რათა გავაუმჯობესოთ თქვენი სამომხმარებლო გამოცდილება „SMG Services“-ის გამოყენებისას — მაგალითად, თქვენი დამახსოვრებით თქვენი განმეორებითი ვიზიტისთვის, რომ თქვენთვის მოწოდებული კონტენტი უფრო რელევანტური იყოს.

SMG-მ ასევე შეიძლება გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების ხელსაწყოები, რათა შეაგროვოს ინფორმაცია მოწყობილობიდან, რომელსაც „SMG Services“-ზე წვდომისთვის იყენებთ, როგორიცაა ინფორმაცია ოპერაციულ სისტემის ტიპის, ბრაუზერის ტიპის, დომენის და სხვა სისტემური პარამეტრების შესახებ, ასევე თქვენი სისტემის მიერ გამოყენებული ენის, ქვეყნის და დროის სარტყელის შესახებ მონაცემები, რომელშიც თქვენი მოწყობილობა მდებარეობს.

9.3. თქვენ მიერ ქუქი-ფაილების მართვა

ვებ-ბრაუზერების მიერ ნებადართულია ქუქი-ფაილების უმეტესობის კონტროლი, ბრაუზერის პარამეტრების მეშვეობით. ზოგიერთი ვებ-

ბრაუზერი (მაგალითად, მობილური ვებ-ბრაუზერები) უზრუნველყოფს პარამეტრებს, რომლებიც საშუალებას გაძლევთ უარყოთ ქუქი-ჩანაწერები, ან გაფრთხილებთ, როცა ქუქი-ჩანაწერი თქვენს კომპიუტერში, ტაბლეტში ან მობილურ მოწყობილობაში განთავსდება. შესაძლოა თქვენ საშუალება გქონდეთ, რომ უარყოთ მობილური მოწყობილობის იდენტიფიკატორები, თქვენს მობილურ მოწყობილობაზე შესაბამისი პარამეტრის გააქტიურების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ ხართ ვალდებული, მიიღოთ SMG-ის ქუქი-ფაილები ან მობილური მოწყობილობის იდენტიფიკატორები, თუ თქვენ მათ დაბლოკავთ ან უარყოფთ, თქვენ შესაძლოა შეგეზღუდოთ გარკვეულ ფუნქციებზე წვდომა, რომლებიც „SMG Services"-ის მეშვეობითაა ხელმისაწვდომი. დამატებით, თუ ცხოვრობთ ისეთი იურისდიქციის ქვეშ, რომელიც გვავალდებულებს, მოვიპოვოთ თქვენი თანხმობა, რათა ჩვენს ვებსაიტებზე და/ან აპლიკაციებზე გამოვიყენოთ ქუქი-ფაილები, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, მართოთ თქვენი ქუქი-ფაილების პარამეტრები ამ ვებსაიტებსა და/ან აპლიკაციებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარკვეული ქუქი-ფაილები მოითხოვება, გარკვეული ვებსაიტის ან აპლიკაციის ძირითადი ფუნქციონირების ხელშესაწყობად — ასეთი ქუქი-ფაილების გათიშვის არჩევანი არ გექნებათ.

10. თქვენი ანგარიშის ინფორმაციის მართვა

თქვენ შეგიძლათ, რომ ესტუმროთ შესაბამისი SMG-ის სერვისის ანგარიშის სექციას, რათა მართოთ და გაასწოროთ ფაქტობრივი შეცდომები იმ ინფორმაციაში, რომელიც თქვენზე გაგვაჩნია. თუ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის და ჩასწორების შესახებ შეკითხვები გაქვთ, დაუკავშირდით ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს შემდეგი ელფოსტის გამოყენებით:privacyofficer@smg.com, ან მონაცემთა დაცვის ოფიცრისთვის და Service Management Group LLC-ისთვის (მის.:1737 McGee Street, Kansas City, MO 64108) მიწერით.

11. სბავშვოკონფიდენციალურობა

„SMG Services" განკუთვნილია ფართოსაზოგადოებისთვის. მისი სამიზნე ჯგუფი არარის ბავშვები, რომლებიც გარკვეულ იურისდიქციებში, რომლებშიც ჩვენ ბიზნესს ვაწარმოებთ, არასრულწლოვნადითვლებიან, მათი პერსონალური მონაცემების დასამუშავებლადსაჭიროა თანხმობის მიღებისთვის. პერსონალურ მონაცემებს ასეთი პირებისგან ჩვენ არვაგროვებთგანზრახ. თუ თქვენთვის ცნობილი გახდება, რომ ბავშვმა, რომელიც თავისი პერსონალური მონაცემების დასამუშავებლადსაჭიროთანხმობის განცხადებისთვის შესაძლოა სამართლებრივადარასრულწლოვანი იყოს, მოგვაწოდა პერსონალური მონაცემები მშობლთა თანხმობის გარეშე, დაუკავშირდითჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელფოსტაზე: privacyofficer@smg.com, ან მიწერეთმონაცემთა დაცვის ოფიცერს და Service Management Group LLC-ს (მის.:1737 McGee Street, Kansas City, MO 64108). თუჩვენთვის ცნობილი გახდება, რომ ბავშვმა, რომელიც თავისი პერსონალური მონაცემების დასამუშავებლადსაჭიროთანხმობის განცხადებისთვის შესაძლოა სამართლებრივადარასრულწლოვანი იყოს თავის იურისდიქციაში, მოგვაწოდა პერსონალური მონაცემები მშობლთა თანხმობის გარეშე, ჩვენ მივიღებთზომებს, რათა ამოვშალოთეს ინფორმაცია და წავშალოთ ბავშვის ანგარიში, რაც შეიძლება სწრაფად.

12. კავშირები მესამე მხარის სერვისებთან

„SMG Services“ შეიძლება შეიცავდეს მესამე მხარის ვებსაიტებსა და სერვისებზე გადამისამართების ბმულებს (**„მესამე მხარის სერვისები**“), რომლებთანაც SMG-ს კავშირი არ გააჩნია. მესამე მხარის სერვისზე გადამისამართების ბმული არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ მას, ან მის ხარისხსა თუ მასზე განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეს. თუ თქვენ მესამე მხარის მიერ უზრუნველყოფილი სერვისის მონახულებას გადწყვეტთ, თქვენ დაექვემდებარებით მის კონფიდენციალურობის წესებს და არა იმ კონფიდენციალურობის წესებს, რომლებიც ამ კონფიდენციალურობის პოლიტიკაშია მოყვანილი.

13. ინფორმაციის უსაფრთხოება

SMG-ს აქვს ინფორმაციის უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც ახდენს ტექნიკური, ფიზიკური და ორგანიზაციული ზომების დანერგვას, რომლებიც გამიზნულია პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დასაცავად; ამასთანავე ის წარმოადგენს დაცვის საშუალებას პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის, ხელშეუხებლობის და ხელმისაწვდომობის მოსალოდნელი საფრთხეების საწინააღმდეგოდ. ის იცავს თქვენს პერსონალურ მონაცემებს დაკარგვის, არასათანადოდ გამოყენების, ნებადაურთველ წვდომის ან გამხელისგან.

თუმცა, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას არსებობს იმის რისკი, რომ ეს მონაცემები შეიძლება დაიკარგოს, არასათანადოდ იქნას გამოყენებული, დაექვემდებაროს ცვლილებებს, ჰაკერმა მოიპოვოს მასზე წვდომა, მოხდეს დარღვევა და/ან მასზე წვდომა იქონიოს ნებადაურთველმა მესამე მხარემ. არცერთი სისტემა ან მონაცემთა ონლაინ გადატანის საშუალება არის ბოლომდე დაცული. SMG-ის მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დასაცავად ტექნიკური, ფიზიკური და ორგანიზაციული ზომების მიღების გარდა, თავად უნდა მიმართოთ უსაფრთხოების სათანადო ზომებს, რათა საკუთარი პერსონალური მონაცემები დაიცვათ. თუ მიიჩნევთ, რომ თქვენი SMG ანგარიში ან თქვენ მიერ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია აღარ არის დაცული, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ამის შესახებ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს შემდეგი ელფოსტის მეშვეობით:privacyofficer@smg.com, ან დარეკეთ ნომერზე 1-800-764-0439 და მოითხოვეთ SMG-ის მონაცემთა დაცვის ოფიცერთან დალაპარაკება.

14. გეოგრაფიული სპეციფიკა და პერსონალურ მონაცემთა საზღვრის მიღმა გადაგზავნა

SMG მართავს და ამუშავებს „SMG Services“-ს ამერიკის შეერთებული შტატებიდან. SMG-მ შეიძლება გადაიტანოს, შეინახოს და დამუშაოს თქვენი პერსონალური მონაცემები ამერიკის შეერთებულშტატებში, გაერთიანებულ სამეფოში, იაპონიაში, ან რომელიმე სხვა მდებარეობაზე, აზიაში ან ევროკავშირში. გაითვალისწინეთ, რომ მონაცემთა დაცვის და კონფიდენციალურობის კანონები იმ ქვეყანაში, რომელშიც თქვენი პერსონალური მონაცემების გადატანა შეიძლება მოხდეს, შესაძლოა არ იყოს იმგვარად ამომწურავი, როგორიც თქვენს ქვეყანაშია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში პერსონალური მონაცემები, გადატანის

შემთხვევაში, შესაძლოა დაექვემდებაროს სამართლებრივ წვდომის მოთხოვნებს შეერთებული შტატების ფედერალური და საშტატო უწყებების მიერ.

პერსონალურ მონაცემთა ევროპის ეკონომიკური ზონიდან („EEA“) შეერთებულ შტატებში გადატანა ხდება აშშ-ევროკავშირის კონფიდენციალურობის ფარის გათვალისწინებით. SMG მონაწილეობს და ემორჩილება აშშ-ევროკავშირის კონფიდენციალურობის ფარის პრინციპებს, ევროპის ეკონომიკური ზონიდან მოპოვებული პერსონალური მონაცემების შეგროვების, გამოყენების, გაზიარების და შენახვის მხრივ, როგორც აღწერილია აშშ-ევროკავშირის კონფიდენციალურობის ფარის სერთიფიკაციაში. იხილეთ კონფიდენციალურობის ფარის სია აქ. შეიტყვეთ მეტი კონფიდენციალურობის ფარის შესახებ აქ. SMG ექვემდებარება შეერთებული შტატების ფედერალურ სავაჭრო კომისიას. ის პასუხისმგებელი იქნება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე კონფიდენციალურობის ფარის პრინციპების დარღვევით მესამე მხარეების მიერ, რომელთაც SMG-მ გადასცა პერსონალური მონაცემები, თუ SMG არ დამტკიცებს, რომ მას არავითარი პასუხისმგებლობა არ აკისრია პოტენციურად საზიანო შემთხვევაზე. პერსონალურ მონაცემთა ასეთი სახის ნებისმიერი გადაცემა ევროპის ეკონომიკური ზონის გარეთუნდა განხორციელდეს კონფიდენციალურობის პოლიტიკისა და ყველა შესაბამისი კანონის დაცვით. თუ საჩივარი გაქვთ კონფიდენციალურობის ფარის ვალდებულებების დაცვის მხრივ, დაუკავშირდით ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელფოსტაზე: privacyofficer@smg.com, ან, სანაცვლოდ, მიწერეთ მონაცემთა დაცვის ოფიცერს და Service Management Group LLC-ს შემდეგ მისამართზე: 1737 McGee Street, Kansas City, MO 64108. თქვენ ასევე შეგიძლიათ შეიტანოთ საჩივარი, უსასყიდლოდ, თქვენ მიერ არჩეულ დავების მოგვარების დამოუკიდებელ ორგანოში, ამერიკული არბიტრაჟის ასოციაციაში და, გარკვეულშემთხვევებში, წამოიწყოთ დავის განხილვის პროცესი კონფიდენციალურობის ფარის წინააღმდეგ.

ეს ინგლისურენოვანი კონფიდენციალურობის პოლიტიკა წარმოადგენს SMG-ის ოფიციალურ განცხადებას თავის კონფიდენციალურობის დაცვის პრაქტიკასთან დაკავშირებით, „SMG Services“-თან მიმართებით. ამ ინგლისურენოვან კონფიდენციალურობის პოლიტიკასა და მის რომელიმე სხვა ენაზე თარგმანს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურენოვან დოკუმენტს.

თქვენ ასევე შეგიძლიათ მიმართოთ საჩივარს უფასოდ, ჩვენი არჩეული დამოუკიდებელი დავის გადაწყვეტის ორგანოს, ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის (http://go.adr.org/privacyshield.html) და გარკვეულ შემთხვევებში, კონფიდენციალურობის ფარის საარბიტრაჟო პროცესის აღძვრაზე.

15. ჩვენთან დაკავშირების ინსტრუქცია

თუ შეკითხვები გაქვთ კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით, ან გჭირდებათ დახმარება თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის ან მისი შეცვლის მხრივ, ან გაქვთ პრეტენზიები თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით,

დაუკავშირდით ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელფოსტის მისამართზე: privacyofficer@smg.com.

თქვენ ასევე შეგიძლიათ, მოგვწეროთ მისამართზე:

Service Management Group LLC
ადრესატი: მონაცემთა დაცვის ოფიცერი
1737 McGee Street
Kansas City, MO 64108

Service Management Group Ltd.
ადრესატი: მონაცემთა დაცვის ოფიცერი
38-40 The Maltings
St Albans
Hertfordshire AL1 3HL
გაერთიანებული სამეფო

Service Management Group G.K.
ადრესატი: მონაცემთა დაცვის ოფიცერი
2-7-16 No. 3 Komoriya Building 9F
Hamamatsu-cho, Minato-ku
Tokyo 1050013, იაპონია

16. მონაცემთა კონტროლერი და მონაცემთა დაცვის ოფიცერი

SMG-ის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემები იმართება Service Management Group LLC-ის მიერ (მის.:1737 McGee Street, Kansas City, MO 64108). თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს შემდეგი ელფოსტის გამოყენებით: privacyofficer@smg.com, ან მონაცემთა დაცვის ოფიცრისთვის და Service Management Group LLC-ისთვის (მის.:1737 McGee Street, Kansas City, MO 64108) მიწერით.